## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/117 „11" აპრილი 2016 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**საერთო სასამართლოების ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის სრულყოფის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ**

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის შესაბამისად, საერთო სასამართლოებში ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის გაუმჯობესების მიზნით:

1. შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნინო გვენეტაძე - საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) კახაბერ სოფრომაძე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

გ) თამარ ალანია - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

დ) მერაბ გაბინაშვილი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ე) ვახტანგ მჭედლიშვილი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ვ) მამია ფხაკაძე - რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე;

ზ) მირანდა ერემაძე - თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

თ) ნანა დარასელია - თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

ი) სოსო ღურწკაია - თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

კ) გიორგი პავლაძე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;

ლ) თამარ სულაქველიძე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

მ) ალექსანდრე წულაძე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ნ) უშანგი ბახტაძე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ხარისხის მართვის დეპარტამენტის საერთაშორისო თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი;

ო) ლია მჭედლიშვილი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების მთავარი კონსულტანტი;

პ) გიორგი კკაურიძე - სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;

ჟ) კახა სარალიძე - სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ინფორმატიზაციისა და კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსი;

რ) დავით ყვავაძე - სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ინფორმატიზაციისა და კავშირგაბმულობის სამმართველოს ქსელის ადმინისტრატორი;

ს) უჩა თოდუა - თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს უფროსი;

ტ) მარიამ ცქიფურიშვილი - თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

უ) თინათინ გვენცაძე - თბილისის საქალაქო სასამართლოს შტატგარეშე მოსამსახურე აითი დეველოფმენთის მენეჯერი;

ფ) თორნიკე დარჯანია - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამართლის ექსპერტი.

2. საერთო სასამართლოებში ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის გაუმჯობესების მიზნით, ჯგუფმა განახორციელოს სისტემის სამართლებრივი ფუნქციებისა და ამოცანების შესწავლა; სისტემასთან დაკავშირებული ხარვეზების შესწავლა, ანალიზი და მისი აღმოფხვრის უზრუნველყოფა; ახალი ტექნოლოგიების დანერგვა; საჭირო პროგრამული ამოცანების უზრუნველყოფისათვის სხვა უწყებებთან კოორდინაცია; პროგრამული ინტეგრაციის ანალიზი და შემდგომი ტექნიკური განვითარება.

3. ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის თაობაზე ანგარიში წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

4. ჯგუფმა დაკისრებული უფლებამოსილებები განახორციელოს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

5. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი